



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დამატოს **14.9. პუნქტი** შემდეგი რედაქციით, ხოლო მომდევნო **პუნქტები** გადაინომროს შესაბამისად:

14.9. იმ შემთხვევაში თუ, **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში, **ბანკი** არ დააკმაყოფილებს (მათ შორის, პასუხის გაუცემლობით) ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს **გადახდის ოპერაციასთან** დაკავშირებულ **ბანკისთვის** წარდგენილ **კლიენტის** საჩივარს - **კლიენტს** უფლება აქვს მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომში – „**კომისია**“) მატერიალურად ან ელექტრონულად წარდგენილი საჩივრით. **კომისია** წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დამოუკიდებელ ორგანოს. კომისიის საქმიანობის წესს, მათ შორის საჩივრის წარდგენის წესსა და პროცედურას დეტალურად შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგი დოკუმენტით: საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ 2023 წლის 26 ივლისის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“.